მე-6 მოწვევის საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრაქციაა და 30 წევრისგან შედგება. იგი საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება საჯაროობის, დამოუკიდებლობისა და თანასწორობის პრინციპებს.

ფრაქციის წესდების გათვალისწინებით, ფრაქციის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ. სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება პოზიცია და რეკომენდაციები, რომელიც შემდგომში საკრებულოს სხდომაზე, ერთიან, შეჯერებულ პოზიციაში გამოიხატება.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, ფრაქციის ფორმატში კოორდინირებულად ვთანამშრომლობთ თბილისის მერთან და დედაქალაქის მთავრობის წევრებთან.

საანგარიშო წლის პერიოდში (ოქტომბრის თვის ჩათვლით) ფრაქციას ჩატარებული აქვს **16** სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა **21** საკითხი.

2019 ნოემბერი - 2020 ოქტომბერი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სხდომებზე განხილული საკითხები თარიღების მიხედვით

თარიღი	საკითხი
05.11.2019	1. ახალი ავტობუსების ექსპლუატაციაში ჩაშვება; 2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო” მიერ 2020 წლის საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლებთან ერთობლივად განსახილველად; 3. დეპუტატების მიერ სხდომის მიმდინარეობისას დაყენებული სხვადასხვა საკითხები.
12.11.2019	1. თბილისის ვიცე-მერისა და საფინანსო სამსახურის უფროსთან ერთად თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების განხილვა.
21.11.2019	1. 2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით რეკომენდაციების წარდგენა; 2.დეპუტატების მიერ სხდომის მიმდინარეობისას დასმული სხვადასხვა საკითხის განხილვა.
17.12.2019	1. ერეკლე კუხიანიძის ფრაქციიდან ‘’ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო’’ გარიცხვის საკითხის განხილვა; 2. ერეკლე კუხინიძე ქ. თბილისის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის დაყენება.

25.12.2019	1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით ფრაქციების პოზიციის შეჯერება.
21.01.2020	1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის ვაკანტურ თანამდებობაზე ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ წევრის გიორგი დოხტურიშვილის კანდიდატურის წარდგენა
27.02.2020	1. მოსახლეობასთან კომუნიკაცია და წინადადებების ინიცირება მუნიციპალიტეტის პრობლემებთან დაკავშირებით
17.03.2020	1.ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობაში გაერთიანებული ფრაქციების მიერ სოციალური ღონისძიებების ორგანიზება კორონავირუსის პრევენციის მიზნით
02.04.2020	1.კორონავირუსის გამო ქვეყანაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელი ფინანსური ხასიათის ღონისძიებები
08.05.2020	1. ი. ჭავჭავაძის გამზირზე ტრანსპორტის მოძრაობის ახალი სქემის შემოღება
23.06.2020	1. ქ. თბილისის ინფრასტრუქტურული პროექტები და ბიუჯეტის სეკვესტრი
29.06.2020	1. ქ. თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სეკვესტრირებული პროექტები და გამოთავისუფლებული საბიუჯეტო სახსრები

09.07.2020	1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი
11.08.2020	1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს სხდომაზე განსახილველი საკითხები
15.09.2020	1. წინასაარჩევნო გარემოს გამოწვევები
01.10.2020	1. წინასაარჩევნო გარემოს გამოწვევები. 2. ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა

საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

2019 წლის 1 ნოებრიდან 2020 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით დავესწარი საკრებულოს 17 სხდომას. საანგარიშო პერიოდში, სულ მოწვეულ იქნა 17 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 134 დადგენილება და 388 განკარგულება. (განხილული საკითხებისა და დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.sakrebulo.gov.ge.

- კანონის შესაბამისად, გახლავართ თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის და ასევე, კულტურისა და განათლების კომისიის წევრი. აქტიურად ვარ ჩართული მათ მუშაობასა და საქმიანობაში.

განათლებისა და კულტურის კომისია

- საანგარიშო პერიოდში დავესწარი თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 6 სხდომას, სადაც განვიხილეთ 11 საკითხი, მათ შორის:

1. **8 ნოემბერი, 2019 წელი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N 34-115 დადგენილების ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. **20 ნოემბერი, 2019 წელი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

3. **26 დეკემბერი 2019 წელი**

•ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომიის 2019 წლის 26 დეკემბრის სხდომის თავმჯდომარის არჩევა;
•„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შსახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (#12-0319344108-03; 10.12.2019).

4. **24 იანვარი, 2020 წელი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებლი

პროგრამის ,,კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში'' (კოდი:08.11) ფარგლებში განხორციელებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2019 წელი).

5. **6 თებერვალი, 2020 წელი**

•სსიპ ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლისთვის ჯამბულ წურწუმიას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
•სსიპ ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლისთვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

6. **18 თებერვალი, 2020 წელი**

•„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200378-03; 06.02.2020).
•„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200483-03; 17.02.2020).

7. **15 მაისი, 2020 წელი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის , მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელი რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის N25-101

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' დადგენილების პროექტის განხილვა.

8. 9 ივნისი, 2020 წელი

•ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვა.
•„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების გამხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გამხილვა.

9. 14 ივლისი, 2020 წელი

•ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 2020 წლის 14 ივლისის სხდომის თავმჯდომარის არჩევა.
•,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ '' ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0320192123-03; 10.07.2020).

10. 6 აგვისტო, 2020 წელი

•,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
•ა(ა)იპ თბილისის მუზეუმების გაერთიანების საქმიანობის ანგარიშის განხილვა;

11. 24 სექტემბერი, 2020 წელი

დიდ დიღომში მშენებარე მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრის მიმდინარე პროექტის ადგილზე გაცნობა; კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ანგარიშისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის შესახებ.''

ურბანული დაგემარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში 2019 წლის 1 ნოემბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარებულ იქნა 20 სხდომა.

კომისიის სხდომებზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 172 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 347 ცვლილება (დადებითი 335), დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო 10 ზონალური ცვლილება, უარი ეთქვა 2 ზონალურ ცვლილებას .

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 101 პროექტი (1 უარი, 3 გადაიდო დამატებითი შესწავლის მიზნით).

აქტივობები

- 13. დეკემბერი 2019

  თბილისის საკრებულოს ინიციატივითა და „თიბისი ბანკის“ მხარდაჭერით, ვარკეთილში გამწვანების აქცია გაიმართა. „თიბისი ბანკის“ მიერ შეძენილი 1

300 კედრის მარადმწვანე ხე თაყაიშვილისა და ალექსიძის 2 კილომეტრიან მონაკვეთზე დაირგო.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამგორის რაიონის (მესამე მასივი) მაჟორიტარის გიორგი დოხტურიშვილის წარმომადგენლობაში ნაყოფიერი შეხვედრა გაიმართა მოსახლეობასთან. მოვისმინეთ მათი საჭიროებები და პრობლემების გადაჭრის გზებზე ვიმსჯელეთ.

24. თებერვალი 2020

- თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ, ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი ტყემალაძემ, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტმა თამარ ტალიაშვილმა, თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე, ბექა დავითულიანმა და საკრებულოს წევრებმა ევროსაბჭოს კულტურული მარშრუტების პროგრამის განვითარების მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების ცერემონიაში მიიღეს მონაწილეობა.

26 თებერვალი 2020

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარის ნინო ლაცაბიძის წარმომადგენლობაში, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან ირაკლი ზარქუასთან ერთად გავმართეთ შეხვედრა ისნის მაცხოვრებლებთან. მოვისმინეთ საინტერესო იდეები და ინიციატივები.

- ახალი კორონა ვირუსის მასშტაბურმა გავრცელებამ სერიოზული რისკის ქვეშ დააყენა ჩვენი თანამოქალაქეების ჯანმრთელობა. პრევენციის მიზნით შეჩერდა ეკონომიკური საქმიანობა, მაქსიმალურად შეიზღუდა ადამიანთა მობილობა, საჯარო და კერძო სექტორი გადავიდა „ონლაინ“ რეჟიმზე, რის გამოც დედაქალაქის საკრებულომ კერძო კომპანიებით ჩართულობით, აიღო პასუხისმგებლობა ეზრუნა სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებზე. კამპანიის ფარგლებში, სურსათით და პირველადი მოხმარების ნივთებით 3000-ზე მეტ ოჯახს გაეწია დახმარება.